ცნობის ფურცელი

№ 1890 ხუთშაბათი, 8 აგვისტო. 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1890

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა I განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებაში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდის.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნეს წლოვანებისა, აზნაურშვილობის და ყვავილის აცრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. (ნ. 3—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. მ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ნ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სიგნახელიძისა, № 21. (ცირკულის ძველი შენობის პირდაპირ.) ტელეფონი № 274. (წლ.)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშო და თვალის.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

—

საფრანგეთი. პროვინციებიდან, მეტადრე ბრეტანიდან, მეტად სამწუხარო ამბები ისმის. საწყალი აქაური ხალხი, რომელიც სამღვდელოების წყალობით გონების გასაოცარ სიბნელის მაგალითს წარმოადგენს, თავდადებით სცდილობს დაიცვას სასულიერო სკოლები. კროზონში, სენ-მეანში, პლუდანიელში ბარიკადები ამართეს მონაზნების სკოლების წინ და გარშემო ხალხი ჰყარაულობს. მთავრობა ერიდება ხალხის აღელვებას და და ამიტომ ფინისტერის დეპარტამენტის პრეფექტმა კოლინიონმა ძალას აღარ მიმართა და უნდოდა მშვიდობიანად გაეთავებინა საქმე. ამ აზრით იგი წავიდა კროზონს. თურმე ქალაქს გარედ დარაჯად იდგა ერთი კაცი. იგი მაშინვე მოახტა თავისსველოსიპედს და აცნობა ხალხს, რომელიც მოგროვილიყო მერიის და საყდრის წინ. როდესაც პრეფექტის ეკიპაჟი გამოჩნდა, ხალხმა შექმნა ყვირილი: „დებს გაუმარჯოს! გაუმარჯოს თავისუფლებას!“ მერიაში კრება მოხდა, რომელსაც დაესწრნენ პრეფექტი, სუპრეფექტი, საგანგებო კომისარი, მერი, საბჭოს წევრნი და აგრეთვე მღვდელი მერსიე; ეს უკანასკნელი მოთავეა იმ წინააღმდეგობისა, რომელიც კროზონში გაუწიეს პოლიციას. პრეფექტმა ახსნა, რომ სკოლებს უნდა ნებართვა აეღოთ 1902 წ. 15 იანვრამდე. ნება-რთვის უქონლობას კი სკოლების დახურვა მოჰყვებაო. პრეფექტმა შემდეგ სთქვა, რომ ბრეტონები გონიერი ხალხია და არ გაამართლებენ იმ ხმას, რომელიც მათ შესახებ გაზეთებში გავრცელდაო. ბრეტონები კარგი ფრანგები არიან, პატივს სცემენ კანონს და აჯანყებას არ ინდომებენო. კროზონშიაც კანონი გაიმარჯვებს ისე, როგორც ყველგანო. და თუ ძალას მიმართვენ, სრული პასუხის მგებლები ისინი იქნებიან, ვინც ურჩევს და ამზადებს წინააღმდეგობასო.

ამას შემდეგ მერსიემ და რამდენმამე სხვამ სთხოვეს პრეფექტს, წინამძღვარს (ქალს) ნება მიეცით, სკოლაში დარჩეს, რადგან იგი ოთხმოცი წლისაა და ავადმყოფიაო. პრეფექტმა უპასუხა, რომ კანონი არ ითხოვს იმ თავშესაფარის დახურვას, რომელიც სკოლას აკრავს, წინამძღვარს იქ არავინ შეაწუხებს და შეუძლია მიიღოს მზრუნველობა, რომელსაც მისი მდგომარეობა მოითხოვსო. გარდა ამისა, რესპუბლიკელები ისე არ მოიქცევიან, როგორც იმპერია იქცეოდაო. ეს უკანასკნელი სიტყვები შემდეგ ისტორიას შეეხება. 1858 წ. წინამძღვარი საჩუქრებს ურიგებდა მოწაფეებს. ესტრადაზე იყო ჯვარცმა და ნაპოლეონ III ბიუსტი. წინამძღვარმა იმპერატორის ბიუსტის გატანა უბრძანა. ეს ამბავი აცნობეს პრეფექტს, ამან თავის მხრივ ეპისკოპოსთან იჩივლა და წინამძღვარი დაითხოვეს.

როდესაც პრეფექტი წავიდა, კვლავ მოისმა ყვირილი: „გაუმარჯოს დებს!“.

ლენევანში მოხდა კრება კლერიკალებისა, რომელსაც დაესწრნენ: რამდენისამე ქალაქის მერები, სენატორი ადმირალი კუვერვილი, დეპუტატი აბატი გეირო და სხვ. გლეხები მთელი ღამის განმავლობაში ყარაულობდნენ სკოლას. პატარ-პატარა აფიშები გააკრეს ქუჩებში და დაურიგეს ხალხს: „გაუმარჯოს ქრისტიანულ აღზრდას! ჩვენ მათ (მონაზნებს) დავიცავთ ყველაფერ და ყველას წინააღმდეგ! ოღონდ ჩვენი შვილები ქრისტიანებად დარჩნენ და ჩვენ თუნდა სისხლს დავღვრით! ჩვენ გვსურს, სკოლებში ღმერთი იყოს! გაუმარჯოს დებს!“.

საყურადღებო ფაქტი მოხდა პლუერმელში. პოლკოვნიკმა სენ რემიმ უარი განაცხადა, დახმარებას ვერ აღმოვუჩენ პოლიციას გრეგაციის სკოლის დახურვაშიო. „მე ქრისტიანი ვარ და არ შემიძლია სარწმუნოების წინააღმდეგ მოქმედებაო“. ცხადია, ეს ახსნა ლობე ყორეს მოდებაა და სხვა არაფერი. საყურადღებო აქ ის არის, რომ ოფიცერი ურჩობას უწევს თავისს უფროსს, დივიზიის გენერალს. ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა ნათქვამი, რომ ჯარი კლერიკალებით არის სავსე. მართლაც, სენ რემი ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო განსხვავება ის არის, რომ სხვები ჯერ-ჯერობით ჩუმად არიან. კანონით აკრძალულია, რომ ჯარის-კაცი პოლიტიკაში გაერიოს, მაგრამ ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ არა თუ ჩუმად ერევიან პოლიტიკაში კლერიკალიზმის მეგობარი ოფიცრები, ცხადათაც კი გამოდიან რესპუბლიკის წინააღმდეგ სადემონსტრაციოდ. „დიდებული მუნჯი“, როგორც ჯარს ეძახიან საფრანგეთში, ლაპარაკს აპირებს. მაგრამ ამაო ცდაა. სენ რემი დაატუსაღეს და სამხედრო სასამართლოში მისცეს ურჩობისთვის. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესსაში. საყურადღებოა, რომ ზომიერი პრესსაც კი ჰკიცხავს ასეთ საქციელს. მაგრამ მეტისმეტი მძიმე დრო დაუდგა კლერიკალებს და იმათ, ვინც კიდევ ჰფიქრობენ ორლეანების ან ბონაპარტების დაბრუნებას.

სამაგიეროდ ბევრ ქალაქიდან გამამხნევებელი და მოსალოცი დეპეშები მოსდის კომბს მისს რესპუბლიკანურ მოქმედებისათვის.

ახალი ამბავი

—

◆ როგორც შევიტყვეთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გადაუწყვეტია შემოდგომიდან ტფილისის სადგურზე ვაგონების სადგომში გამართოს **ხელოსნებისა და მუშებისათვის სასადილოები.** სადილებს მუშებს და ხელოსნებს დაუთმობენ იაფად და ზოგჯერ ნისიადაც.

◆ **საგარეჯოდან გვატყობინებენ:** 2 აგვისტოს, საღამოთი, პატარძეულსა და საგარეჯოში ისეთი ძლიერი სეტყვა მოვიდა, რომ სულ ერთიანად ჩარეგვა ვენახები და სიმინდები გააფუჭა. ზარალი მეტად დიდია. სეტყვა 20 წამი მოდიოდა.

◆ დღეიდან მსურველთ შეუძლიანთ, ტფილისის ქალაქის გამგეობაში ამომრჩეველთა საბოლოოდ შედგენილ **სია მიიღონ.**

◆ რადგან ათ აგვისტოდან ძალაში შედის სავალდებულო დადგენილებანი **იარაღის ტარების აკრძალვის** შესახებ, ამიტომ ბევრს მიუმართავს ტფილისის პოლიცმეისტრისათვის და უთხოვნია იშუამდგომლოს, ნება მიეცეთ იარაღის ტარებისა. პოლიცმეისტერს თხოვნების განხილვის შემდეგ უმეტესს ნაწილისათვის უარი უთქვამს.

◆ გუშინ, 5 აგვისტოს, ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ამიერიდან უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფოს საბჭოს დადგენილების თანახმად, გუბერნიის **ბეითლები** უნდა იწოდებოდნენ საგუბერნიო საბეითლო ინსპექტორებად, ხოლო იმ ადგილების ბეითლები, სადაც საქონელი ისინჯება, უბნის ბეითლებადაო.

◆ ახლო მომავალში, როგორც უკვე ვაუწყეთ, ქალაქ ბათუმში იხსნება ქალაქის **ახალი საავადმყოფო,** რომლისთვისაც მოწვეულები არიან: საავადმყოფოს გამგედ—ექიმი ფინკელშტეინი პეტერბურგიდან, უფროსს ორდინატორად ექიმი მხეიძე, უმცროსებად ექიმი შატილოვი და ექიმი-ქალი კოგანი. საავადმყოფოს ზედამხედველად იქნება საბჭოს ხმოსანი კარლოს ჩხეიძე. ქალაქის სასანიტარო ექიმის თანამდებობაზე მოწვეულია ექიმი ბეთანოვი. („ჩერნ. ვესტ.“).

◆ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა აგენტმა და ქალაქის ერთმა ტეხნიკოსმა დაათვალიერეს მირზოევის მამული ჯანდარში, ბორჩალოს მაზრაში, სადაც უნდათ **დააბინავონ ქალაქის სავაჭრო საქონელი ზამთარში.** მირზოევი დათანხმებულა, დაუთმოს ქალაქს სამყოფი მიწა იმ პირობით, თუ ქალაქი ააშენებს საქონლისთვის სადგომს, რომელიც დანიშნულ ვადის შემდეგ მირზოევს უნდა დარჩეს.

◆ საერო განათლების სამინისტროსთან არსებობს კომისია, რომელსაც დაევალა გამოსცეს **კატალოგები** ოფიციალურ დაწესებულებათა და საზოგადოებათა იმ სამეცნიერო გამოცემებისა, რომელნიც ეგზავნებათ ზოგიერთ სახელმწიფოებს, იმათგან მიღებულ სამეცნიერო გამოცემათა ნაცვლად. კომისია წელს შესდგომია კატალოგის შედგენას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობის თანახმად, ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, გაუგზავნოს თავის მხრივ ხსენებულ კატალოგისათვის საჭირო ცნობები.

◆ გუშინ, 7 აგვისტოს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის განყოფილებაში შესულა კერძო ვექილი მურადოვი, რომელსაც რაღაც ცნობების ამოსაწერად ერთი საქმე მოუთხოვნია. როცა საქმე გადაუციათ, **მურადოვს,** სხვათა შეუმჩნევლად, ძაფი გაუჭრია, ამოუცლია ერთის კაცის ანდერძი, რომლის გამოც მურადოვი ერთის მხრის ინტერესების დამცველად ყოფილა, და ჩუმად ჩაუდვია ჯიბეში. შემდეგ უკითხნია მწერლისათვის, სად არის ის საბუთის ქაღალდი, რომელიც მე მინდოდაო. დაუწყიათ ძებნა და ვერსად ვერ უპოვნიათ. შემთხვევით იქვე მყოფ პოლიციის მოხელეს მაქავარიანს შეუნიშნავს, რომ მურადოვმა რაღაც ქაღალდი ამოიღო საქმიდან და ჯიბეში ჩაიდო. მურადოვი გაჩხრიკეს და უბეში აღმოაჩნდა მოპარული საბუთის ქაღალდი, რისთვისაც ოქმი შეუდგინეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს.

◆ გუშინ წინ მცხეთაში ერთს დარაჯს უცაბედად თოფი გაუვარდა და მოჰხვდა ფეხში იქვე მდგომ ტფილისის მცხოვრების გადამსკის ქალიშვილს.

◆ ტფილისის მაზრის ტფილისის ნაწილის ბოქაულმა წერილობით სთხოვა გუშინ ტფილისის მაზრის უფროსს გაიგზავნოს ექიმი სოფელ ელიზაბეტალში, რადგანაც იქ ყელ-ჭირვება გაჩენილა.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან დაარსებულ სახელმწიფო ბანკის შემნახველ გამსესხებელ კასის განყოფილებაში ივლისის განმავლობაში შეუტანიათ სულ 56,771 მან. ხოლო 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე შეუტანიათ 400,789 მან. 25 კაპ., ივლისის განმავლობაში გაუტანიათ 24,323 მან. 81 კაპ, ხოლო 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე 147,664 მან. 31 კაპ.

◆ 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე ტფილისში სხვა და სხვა გადამდებ სენით ავად გამხდარა სულ 6 კაცი; 1 ხურვებით, 1 ყელჭირვებით, 2 დიფტერიტით და ორიც მუცელათი.

◆ ტფილისის დედათა სამკურნალოში 29 ივლისისათვის ავად ყოფილა სულ 35 ქალი; 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე საავადმყოფოში მიუღიათ კიდევ 9 ქალი, მორჩენილა 2. ამ ჟამად იქ 42 ავადმყოფია. თავისუფალი ადგილი 13-ია.

◆ ტფილისის სხვა და სხვა სენით გადამდებ ავადმყოფთა სამკურნალოში 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე 3 ავადმყოფი ყოფილა დიფტერიტით; ერთი მორჩენილა და 2 ახლაც ავადაა. თავისუფალი ადგილი ამ ჟამად 26-ა.

◆ გორის მცხოვრები ი. ლამბაროვი 4 აგვისტოს ტფილისში ხაზინასთან ძველ ფულებს ყიდულობდა. ამ დროს სამი უცნობი კაცი მისულა. ერთს, ტფილისის მოქალაქეს არტემ ხაჩატუროვ—ბუდაღნოვს, ჩაუყვია ხელი იმის ჯიბეში, ამოუცლია 35 მანეთის ძველი ფული და ლომბარდის ბილეთები 230 მანეთისა. ქურდს გამოსდევნებიან, დაუჭერიათ და ფული წაურთმევიათ. ხეჩატუროვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობას თავმჯდომარის ბ-ნ მელნიკოვისაგან

მოუვიდა პეტერბურგიდან ორსიტყვიანი ტელეგრამა: „სამშაბათს (ე. ი. 6 აგვისტოს) გამოვდივარ“. ასეთმა მოკლე პასუხმა, ქუთაისის ბულვარი კიდევ უფრო დააინტერესა: არავინ იცის, დასარჩენად მოდის ბ-ნი მელნიკოვი, თუ გამოსათხოვებლად; ის კი ყველამ იცის, რომ მისმა მოსამსახურემ სახლის ავეჯეულობა გაჰყიდა: უთუოდ ეგონა, ჩემი ბატონი აქეთ აღარ ჩამობრძანდებაო.

✦ საადგილ-მამულო ბანკზე დარჩენილ მამულების მმართველად ბ-ნ მელნიკოვის მიერ დასახელებული თავ. გ. წულუკიძე კიდევ არაა დამტკიცებული ამ თანამდებობაზე. როგორც ამბობენ, ბ-ნ მელნიკოვი დათანხმებულა, მთელმა გამგეობამ მიიღოს მონაწილეობა არჩევანში.

✦ ქალაქის ინჟენერი ბ-ნი ჯორჯაძე, რომელიც ქალაქმა შავის ზღვის პირა მომავალ რკინის გზის მიმართულების გამოსაკვლევად გაჰგზავნა, 4 აგვისტოს დაბრუნდა და თავის მოგზაურობის ანგარიშს ამ დღეებში წარუდგენს ქალაქის გამგეობას.

✦ როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“-ს, განზრახვა აქვს, ქუთაისში მალაზია გაჰმართოს ๕ საკომისიოდ გასასყიდად აიღოს ის დიდ-ძალი აბრეშუმის ქსოვილები, რომელიც ქუთაისში სოფლელთ ბლომად შემოაქვთ და ჩარჩებს იაფად ხელში უვარდებათ. თუ ეს განზრახვა განახორციელა „ამხანაგობა“-მ, ეჭვს გარეშეა, დიდ სარგებლობას მოუტანს აბრეშუმის მწარმოებელთ, რომელთა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში ცოტა არ არას.

ამას წინად „ცნ. ფურ. ც.“-ში დაბეჭდილმა ცნობამ შესახებ იმისა, რომ ჩარჩები მეტად იაფად ჰყიდულობენ ქუთაისის ბაზარში აბრეშუმის ძაფსაო, ყურადღება მიქცია „მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ თავმჯდომარისა: 4 აგვისტოს ბ-ნმა ი. ქუთათელაძემ თვითონ დაიარა ბაზარი და იქ მყოფ გამყიდველებისაგან დაწვრილებით შეიტყო აბრეშუმის ძაფით ვაჭრობის ვითარება. თვითონ დარწმუნდა, რამდენს უწესოებასა და უსამართლობას ხმარობენ ჩარჩები, რომ იაფად აბრეშუმის ძაფი და ქსოვილები ხელში ჩაიგდონ...

✦ ქუთაისის გუბერნატორს ბ-ნ სმაგინს, რომელიც ამ ჟამად ლეჩხუმისა და სვანეთის მაზრების დასათვალიერებლად არის წასული, ქუთაისს მოელიან 10—11 აგვისტოს.

✦ საადგილ-მამულო ბანკის დირექტორი გ. ნ. აბულაძე, რომელიც ათიოდე დღეს დარჩა ქუთაისში ბანკის საქმეების გასაცნობად, ამ დღეებში უკანვე წავიდა განჯას, რომ 20 აგვისტოს ოჯახობით გადმოსახლდეს ქუთაისს და შეუდგეს თავისის თანამდებობის აღსრულებას.

✦ ჩვენი ბულვარი ღამის „გაგვისკვერნდეს“. შეღამდება თუ არა, ეგრედ წოდებულ „საარშიყო ხეივანში“ იწყება მიჯნურობა და, ღმერთმა იცის, რა არა ჰხდება. მათ ხელს უწყობს ხეივნის სიბნელეც. უნდა ვსთქვათ, რომ ბაღის გარშემო ჩამწკრივებული მბჟუტავი ფარნები თუ ანათებს, მხოლოდ ქუჩებს და არა ხეივნებს, რომლებსაც —ზაფხულობით მაინც—ხეების ფოთლები აბნელებს. ვსწერთ, შიგნით ბაღში, ხეივნების ნაპირზე, რამდენიმე ფარანი დაიდგას.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მისაღები და განმეორებითი ეგზამენები 25 აგვისტოდან დაიწყება.

✦ 4 აგვისტოს ქალაქის თეატრში კიდევ იყო იაფ-ფასიანი ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს მოლიერის 3 მოქმედებიანი კომ. „სკაპენის ცუღლუტობა“ და გ. გუნიას ვოდევილი „არც აქეთ, არც იქეთ“. კარგად შეასრულა სკაპენის როლი ბ-ნმა ბალანჩივაძემ და არგანტისა —ბ-ნმა ლათიშვილმა. დანარჩენები ხელს უწყობდნენ საერთო თანხმობით თამაშს. საზოგადოდ, მოთამაშენი სვინიდისიერად ეპყრობიან თავის მოვალეობას და ხალხიც ამით ნასიამოვნებია. ამ დღესაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო იაფ-ფასიან წარმოდგენას.

რუსეთის ქრონიკა

✦ რუსეთში არსებობს მწერლობისა და ვაჭრობის დამხმარებელი საზოგადოება. ამას წინად ამ საზოგადოებასთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ყოვლის მხრით საქმე დაზღვევისა სიბერისაგან და გაიგოს, რამდენად შესაძლებელია ამგვარად დაზღვევის რუსეთში შემოღება. საზოგადოების აზრით დაზღვევის შემოღება ისევე, როგორც ახალ ზელანდიისა, ნორვეგიისა, გერმანიისა და ავსტრიაში, დიდ გავლენას იქონიებს ღარიბ და მუშა ხალხთა ცხოვრებაზედ. იმის ყწალობით განკარგდება და გაუმჯობესდება როგორც ქონებრივი, ისე ზნეობრივი მხარე მცხოვრებთა. ხსენებულმა საზოგადოებამ მიჰმართა სხვა-და-სხვა სამეცნიერო საზოგადოებებს და სთხოვა, დანიშნონ კომისიაში თავიანთი წარმომადგენელნი.

✦ კარგა ხანია მთავრობამ ლაპარაკი აღძრა ქალთა სასოფლო-სამეურნეო განათლების მოწყობის შესახებ, მაგრამ დღემდე საქმე არაფრით წაწეულა წინ. გაზეთების სიტყვით, ამ საქმისთვის ახლა შემდგარა ახალი კომისია სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ნ. ა. ხომიაკოვის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრებად, მიწად-მოქმედების სამინისტროს მოხელეთა გარდა, არიან: წარმომადგინელნი დედოფალის მარიამის დაწესებულებათა უწყებისა, ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა.

✦ შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს: ოდესის საავადმყოფოში 19 ივლისს დააწვინეს ავადმყოფი, რომელსაც, როგორც პირველ შვიდ ავადმყოფს, შავის ჭირის ნიშნები ჰქონდა. 26 ივლისს ავადმყოფი გარდაიცვალა. ასტრახანის გუბერნიის სოფელ აქსაიში 15 ივლისიდან აღარავინ გამხდარა ავად. კომისიამ დაადგინა: დროებით, ახალ განკარგულებამდე, აეკრძალოს ოდესიდან გატანა: 1) ნახმარ საცვლისა, ტანისამოსისა და ლოგინისა; 2) ძონძებისა და ფალასებისა; 3) ტომრებისა, ძველ ხალიჩებისა და ნახმარ მოქარგულისა; 4) ტყავებისა, როგორც დაუზმადებელ, ისე დამზადებულისა; 5) მატყლისა, ბალნისა, ჩლიქებისა, ფრჩხილებისა, აბრეშუმისა.

✦ მთავრობას განუზრახავს მთავარ დამფასებელ გამგეობის დაარსება. ამ აზრით შინაგან საქმეთა სამინისტროში შესდგა კომისია.

✦ როგორც პეტერბურგის საცენზურო კომიტეტის ცნობებიდანა სჩანს, მდგომარე წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პეტერბურგის სტამბებში დაბეჭდილა სულ—1,808 წიგნი 8,919,970 ცალად. ყველაზედ მეტი გოგოლის თხუზულებანი დაბეჭდილა —1,004,000 ცალი; აქედან 300,000 ცალი დაუბეჭდია პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების, 255,000 ცალი—„ნაროდნაია პოლზა“-ს საზოგადოებას, 122,000 ცალი—პავლენკოვს, 95,000 —სუვორინს და სხვებს. ფასი ამ წიგნებისა უმეტეს ნაწილად კაპეიკი და ორი კაპეიკია. გოგოლის თხუზულებათა შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს ნ. ი. ნეკრასოვის თხუზულებას—„Практич. курсъ правописанія“—340,000 ცალი (მე-13 გამოცემაა); შემდეგ ბარნოვს (ან-ბანი და სხვა წიგნები სახალხო სკოლებისათვის)—298,000 ცალი; ვოლპერს (ესეც ავტორია სახელმძღვანელოსი) —213,000 ცალი. 100,000 ცალი დაიბეჭდა გოლდენბერგის „ამოცანები“, 13—ევტუშევსკის „ამოცანებივე“ და სოკოლოვის—„Ручная ковка лошадей“. შემდეგ ყველაზედ ბევრი ჟუკოვსკის თხუზულებანი დაიბეჭდა 95,000 ცალად, მერე უშინსკის „როდნოე სლოვო“—50,000 ცალად.

ბელეტრისტთა შორის ყველაზედ მეტი დაიბეჭდა ვერესაევის „Записки врача“ (40,000 ცალი) და მ. გორკისა „Мѣщане“ (30,500 ცალი).

✦ სარატოვის გუბერნიაში არის სოფელი ადექსეევკო. ამას წინად სოფელში მოსულა ადგილობრივი ეპისკოპოსი გერმოგენი. წირვის შემდეგ, როდესაც გარედ გამოსულა, წინ დახვედრიან გლეხები, დაცემულან მუხლის თავებზე, გადაუციათ ადგილობრივ მღვდელზე საჩივარი და პირადადაც უთქვამთ, გვაგლეჯს, ბევრ ფულს გვართმევსო. როგორც გამოირკვა, მღვდელი ჯვარის დაწერისთვის იღებდა 7-დან 15 მანეთამდე; ამას გარდა ართმევდა ღვინოს, მამალს, ზოგს ცხვარსაც. ეს მღვდელს-მედავითნეც იღებდა ღვინოსა და ქათამს. დასაფლავება გლეხს უჯდებოდა 7 მანეთამდე, დაბადების მოწმობის აღება 3-დან 5 მანეთამდე და სხვა. მღვდელს, რასაკვირველია, უთქვამს, ტყუილია ეგენი, ჭორებს იგონებენ ჩემზეო. ეპისკოპოსს მხოლოდ ორის კვირით მონასტერში გაუგზავნია მღვდელი, ხოლო მედავითნე სხვაგან გადაუყვანია.

პრესსა

„ივერიის“ უკანასკნელ ნომერში (№ 166) თავ. კიტა აბაშიძემ დაასრულა თავისი გრძელი, მაგრამ საინტერესო და საყურადღებო წერილი სვ. ქვარიანის წინააღმდეგ. ამ უცნაურმა (მეტი რომ არა ვთქვათ) „მოღვაწემ“ შავი-ქვის სინდიკატის შესახებ მოათავსა „ივერია“-ში ყოვლად შეუწყნარებელი წერილი, რომელიც ჩვენ გაზეთშიაც იყო ღირსეულად დაფასებული (იხ. რგანელის ფელეტონი № 1883). თავ. კიტა აბაშიძემ სავსებით გამოამჟღავნა ბ. ქვარიანის წერილის უკუღმართობა და უტყუარის ფაქტებით დაამტკიცა მისი ცილისწამებითი მიდრეკილება. სამწუხაროა მხოლოდ, რომ **სვიმონ ქვარიანის** ბრალდებათაც გამტყუნება საჭირია და ასეთი გრძელი გამტყუნება! კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ იმგვარი ბრალდებაც კი ჰპოულობს ადგილს ჩვენს პრესსაში. ბ. კიტა აბაშიძემაც აღნიშნა ეს გარემოება თავისს პირველ წერილის შენიშვნაში, მაგრამ მეტად რბილად უსაყვედურა „ივერია“-ს... რაც შეეხება ბ. კიტა აბაშიძის წერილს, არ შეგვიძლია იქედან არ გადმოვბეჭდოთ ეს დასკვნა:

> ბ-ნი სვ. ქვარიანი გვარწმუნებს, რომ მრეწველები „არ დააჯენენ საქმის სათავეში ვილაც ჩარჩებს და ავანტიურისტებს, არამედ აირჩევენ ჭეშმარიტად პატიოსან, შეგნებულ, ფხიზელ და საქმის მცოდნე პირთაო“.
>
> დღეს-კი ჰგავს, საქმის სათავეში სდგანან ვილაც ჩარჩები, ავანტიურისტები და არა ჭეშმარიტად პატიოსანი, შეგნებული და სხვა?“ ვითომ, რატომაო. საქმეს სათავეში უდგია წესდების ძალით გამგეობის დროებით წარმომადგენელი ბ-ნი ზდანოვიჩი და საბჭო, რომელიც შესდგება ჯგუფების წარმომადგენელთაგან. იმავე ხალხმა არ აირჩია ეს კაცები? ეს, იტყვის ბ-ნი ქვარიანი, ჩემი ბრალია, მე შევიყვანე შეცდომაში ხალხიო. კი, მაგრამ ის „სანეტარო კრებაც“, რომელსაც ელის ბ-ნი ქვარიანი, ვით სვიმეონ მოხუცი მესიას, ის კრებაც ხომ ბ-ნ ქვარიანის გარეშე არ მოხდება, რადგან მას „ენდობა განსაკუთრებით ხალხი და სხვ.“ და როგორღა დავიჯეროთ, რომ ბ-ნი ქვარიანი ისევ არ შეაცდენს მაზედ მინდობილს ხალხს, ანა და შეიძლება საქმეს თავში უდგიან ეხლაც არა „ჩარჩები და ავანტიურისტები“, არამედ „ჭეშმარიტად პატიოსანი, შეგნებული“ და სხვა? არა მგონია, ბ-ნი ქვარიანი ამაზედ დაგვეთანხმოს. მისის აზრით, „ჭეშმარიტად პატიოსანი, შეგნებული და საქმის მცოდნე პირი“ ის არის, ვინც საზოგადო ფულს განზრახ უკანონოდ ჰფლანგავს: ვინც საზოგადოების ერთ პირობას უკითხავს და მის წარმომადგენლებს განზრახ შეცვლილზედ ძალით აწერინებს ხელს. ვინც „ღვლერძს“ აბამს და ვალებში ჰბანდავს ხალხს“ და ვინც განზრახ „ვილაც ავანტიურისტებისა და ჩარჩების“ ხელში ჰყრის და ყოველსავე ამას შვრება იმიტომ, რომ გამოელის „ციურ მამანას“, ხოლო როცა ეს აღარ აღუსრულდება, დაიწყებს გულში ხელის ბრაგუნს და ხმა მაღლა სინანულის მოთქმას.
>
> მადლობა უფალსა, რომ ყოველივე ესე ბ-ნ ქვარიანის ოცნებაში შეთხზული ცილისწამებაა; (რაცა მის პოეტურის ფანტაზიის ღირსებას ამდაბლებს). ამის უტყუარი საბუთები ზემოდ მოვიყვანეთ.
>
> საბრალოა მხოლოდ ჩვენი დაბეჩავებული და დაავადმყოფებული საზოგადოება: ამ საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ასე დაუსჯელად, ასე რიხიანად და გაბედვით გამოვიდეს ვინმე. თუ გინდ ბ-ნის სვიმონ ქვარიანის პოეტურის „ნიჭით“ იყოს შემკული, და ასე „უპრაგონოდ“ მოსცხოს ჩირქი საქმის რიგიან მუშაკებს, ხოლო თავისავე უშინაარსო ლაპარაკით საქმეს ზარალი მისცეს.

⁂

მოგვივიდა 1-ლი № ბაქოში დაარსებულის ახალის გაზეთის „ბაკინსკია იზვესტია“-ი ბ. გრინევის რედაქტორობითა და გამომცემლობით. „საპროგრამო წერილში“ ახალი გაზეთი თავისს მიმართულებასა და პროგრამას არ გვირკვევს—ეს ისედაც მალე გამომჟღავნდებაო; ამბობს მხოლოდ, რომ „არც კერძო ვინმე პირს, არც რომელსამე ჯგუფს ან პარტიას არ ეკუთვნის; რომ გაზეთი დამოუკიდებულია და ჰსურს ემსახუროს ბაქოსა და ჩვენის ქვეყნის საზოგადო ინტერესებს... როგორც ამ ბუნდოვანად გამოთქმულ ფრაზიდან სჩანს, გაზეთს არა აქვს შეგნებული, სახელდობრ ვისი ინტერესების დამცველი ან წარმომადგენელი იქნება. ბაქოში უფრო, ვიდრე სხვაგან, თვალსაჩინოა, რომ მცხოვრებთა სხვა-და-სხვა ჯგუფებს სრულიად სხვა-და-სხვა, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო, ინტერესები აქვთ; სწორედ ამიტომ ახალს გაზეთს ვალად ედება ცხადად სთქვას, რომელის ჯგუფის ინტერესებს აღიარებს იგი „საზოგადო ინტერესებად“?!

გაზეთი გვპირდება, მალე ნახავთ, როგორ მიუდგომელად და პატიოსნურად ვემსახურები ქვეყანასაო და ჩვენც, ყოველ შემთხვევაში, გულწრფელად ვუსურვებთ ახალს თანამოძმეს ღირსეულად აღასრულოს თავისი მოვალეობა. ჩვენს ქვეყანაში პრესსას ბევრი სამუშაო აქვს და ყოველი ახალი მუშაკი სასურველია, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი, ოღონდ გულწრფელი და პატიოსანი მსახური კი იყოს.

თელავის სასულიერო სასწავლებლის საოლქო სამღვდელოების დეპუტატთა წლიური კრება

წელს სამღვდელოების დეპუტატნი 23 ივლისისათვის იყვნენ თელავში მოწვეული. დეპუტატებს წინ-და-წინვე ეცნობათ განსახილველი საგნები: დარჩეს თუ არა მოსამზადებელის პირველი კლასი და ქართულის გალობის კათედრა. გაეგზავნათ აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც სხვა საქმეებში, აქაც ტარტაროზი ტარტაროზობდა თავის ჭინკებს აშიკრიკებდა, მიითომდა სამღვდელოების ინტერესების სასარგებლოდ. ამისათვის მოსალოდნელი იყო ქარიშხალი და ალიაქოთი. თითქმის ყველა დეპუტატმა იცოდა, რომ დახურვა მოსამზადებელის კლასისა და გაუქმება ქართულის გალობის ადგილისა არ მოხდა, იმიტომ რომ სასწავლებლის საბჭოს ერთმა წევრმა, სამღვდელობის წარმომადგინებელმა, შეიტანა საკუთარი განცხადება სამღვდელოების ანქარებულის დადგენილებაზე და კიდეც შეურაცხყოფა მიაყენა მას მთავრობის წინაშე. უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი დეპუტატი უფრო ამ ამბის შესატყობად მოსულიყო. თუ ამას დავუმატებთ კარგა მოზრდილს ნუსხასაც, რომლისაც მოითხოვდა სამღვდელოების ჯიბის ამოჩენას, ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ კრება წყნარი და აუღელვებელი არ იქნებოდა.

სამღვდელოება შეიკრიბა 23 ივლისს და პარაკლისის შემდეგ შეუდგა თავმჯდომარის ამორჩევას. რამდენსაც კენჭი უყარეს, ყველას შავი ჰმატობდა. ბოლოს, როგორც იყო, ამოარჩიეს ხმის უმეტესობით მამა მატათიევი, ხოლო მდივნად —მამა დეკანოზიშვილი. საქმეს შეუდგნენ. პირველად ეს განიხილეს: სად რა წყაროები მოეპოვება სამღვდელოებას და რომელი ამათგანი დაშრტა? აღმოჩნდა, რომ სამღვდელოებას მოჰკლებია ორი თვალ-საჩინო წყარო—აწყურის წმ· გიორგის ეკკლესია, რომელიც იძლეოდა 80 თუმანს, და ანაგის მთავარ-ანგელოზისა—რომელიც იძლეოდა 50 თუმანს. ამათ გარდა აღმოჩნდა, სხვა ეკკლესიებიც, რომელთაც აკეთებენ თურმე და ამიტომ ეწირგებათ ფული. ამების შემდეგ უნდა გვეგულისხმა, რომ სამღვდელოება შეუდგებოდა ხარჯთ-აღრიცხვის ნუსხის შემცირებას და არა გაფართოვებას. მართლაც და დეპუტატებმა თავდაპირველადვე დაიწყეს: „მთლად ტყავი გაგვძვრა, ჩვენც და ჩვენს ეკკლესიებსაც. სხვა არა იყოს-რა, ხალხი გვერევება ეკკლესიიდან და გვეძახის —ჯანი თქვენც გაგვარდება და თქვენს სასწავლებლსაც! ეკკლესიები ნუ დაგვიღუპეთო.“ თითქმის ერთ-ხმად გაიძახოდნენ, რომ მოესპოთ საქმის მწარმოებლის ჯამაგირი, ბიბლიოთეკარისა, მოსამსახურეთა, მწერლისა, მღვდლისა და სხვისა, მით უმეტეს, რომ ძალა-უნებურად უნდა დაეტოვებინათ ხელ-შეუხლებლად პირველი მოსამზადებელი კლასი და გალობის კათედრა, რადგანაც მათი დატოვება სათლქო საბლაღოჩინო კრებაზე იქმნა ერთ-ხმად დადგენილი (არ დაეთანხმა მხოლოდ დეკანოზი ბეგიაშვილი). დიახ, კრება სდუღდა, ხმაურობდა, სცდილობდა ხარჯის ყოველის მუხლის შემცირებას. ძალიან ხშირად გაისმოდა: „ატკაზატ.“

მაგრამ ხომ იცით, ჭექა-ქუხილს წვიმა მოსდევს, დრუბლების დაწყნარება და მშვენიერი ცისარტყელა. ჩვენი კრებაც ამას დაემსგავსა. ხანგრძლივის ჭექა-ქუხილის შემდეგ, ცოტ-ცოტად მიეცა კრება სიყუჩეს; ცოტა არ იყოს ხელს უწყობდნენ ამას საბჭოს წევრნი მოფიქრებულის და დინჯის განმარტებით იმ საქმეებისა, რომლიც შფოთსა და მღელვარებას იწვევდა. ბოლოს კრება სრულიად დამშვიდდა და თითქმის მთლად შეიწყნარა ხარჯთა ნუსხა, დაამტკიცა ყოველი მუხლი და ბევრს წაუმატა კიდეც. დაადგინა, მაგ,, სასწავლებელს სამის წლის განმავლობაში მთლად გამოუცვალოს კლასების მოსაწყობი ავეჯი. შემდეგ კრება შეუდგა ნუსხის განაწილებას. კრებამ გაანთავისუფლა ხარჯისაგან გაჭირვებული მღვდელნი და აგრეთვე ისინი, ვისაც ეკკლესია ჰქონდა დაზიანებული.

კრების დახურვის დროს წაკითხულ იქმნა ის განცხადება, რომელსაც ათას-ნაირად უხსნიდნენ სამღვდელოებას და გულს უმღვრევდნენ. კრება

დარწმუნდა, რომ გავრცელებული ხმები ტყუილი იყო, ამიტომ დაადგინა კიდეც, ის პირი, ვისაც განცხადება ეკუთვნის, წარდგენილ იქმნას უმაღლესს მთავრობის წინაშე ხანგრძლივისა და კეთილ-სინიდისიერის სამსახურისათვის დასაჯილდოვებლად.

ქუთაისის საბჭოს სხდომა

საბჭოს არა ჩვეულებრივი სხდომა, რომელიც 3 აგვისტოსთვის იყო დანიშნული, როგორც იყო, 9½ საათზე დაიწყო (8 საათის ნაცვლად), გამგეობის წევრის გრ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით, ისიც შიკრიკების წყალობით, რომელნიც ქუდ-მოგლეჯილი დარბოდნენ კლუბსა და მაღაზიებში ხმოსნების მოსაწვევად. სხდომას დაესწრო სულ 17 ხმოსანი (ამ რიცხვში შედის გამგეობის წევრი და მდივანი). საბჭოს ქალაქის უძრავ მამულების სამი დამფასებელი და ერთი მათი კანდიდატი უნდა აერჩია და იმათ ჯილდოდ 600 მანეთი გადაედო. უნდა ვსთქვათ, რომ ექვსის კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც სამ ჯგუფად იყო გაყოფილი და რამდენიმე დღე კიდეც აფასებდა მამულებს, ბ-ნმა გუბერნატორმა უხერხულად სცნო ჯერ ერთი იმიტომ, რომ თითო ჯგუფში უსათუოდ სამ-სამი კაცი უნდა ყოფილიყო და მეორე—მთავრობის წარმომადგენლად ერთი კაცი იყო დანიშნული, რომელსაც ერთსა და იმავე დროს არ შეეძლო სამს ჯგუფში მონაწილეობის მიღება.

დიდის კამათის შემდეგ ხმოსნები ორ ნაწილად გაიყვნენ; ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ სამ ჯგუფად გაყოფილი კომისია მამულების დაფასების შემდეგ ერთად შეკრებილიყო და საბჭოს მიერ დანიშნულ კაცის თავმჯდომარეობით ცალკ-ცალკე შეფასებული მამულები ერთად განეხილად და, თუ რამ საჭირო იქნებოდა, შეესწორებინად. მეორე ნაწილი კი იმ აზრისა იყო, რომ სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კომისია აერჩიათ, რომ ცალკ-ცალკე შეეფასებინათ მამულები. ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა უკანასკნელი აზრი, ასე რომ სადამფასებლო წესდების § 1 შეიცვალა, რომლის ძალითაც მხოლოდ ერთი კომისია უნდა ყოფილიყო დანიშნული.

შემდეგ ერთხმად მიღებულ იქმნა გამგეობის წინადადება, რომ ახლად ასარჩევ სამის წევრისათვის გადადვას ჯილდოდ 600 მან. დამფასებელ კომისიის წევრებად დაასახელეს სამი კაცი. მაგრამ ხმის უმეტესობით სხდომა გადადვა 7 აგვისტოსათვის.

სხდომის გათავებისას თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძემ აუწყა საზოგადოებას, რომ წყლისაყვანის ამხანაგობის გამგეობა ისე არ აკეთებს უმთავრესს აუზს, როგორიც უნდა გაეკეთებინა პირობის ძალითა. ამიტომ ურჩია გამგეობას, რომ მუშაობას თვალ-ყური ადევნოს.

თავმჯდომარემ გრ. ი. გველესიანმა მოახსენა კრებას, რომ ამის შესახებ დღეს ხმოსნის ბ-ნ ფონ-შულცის მოხსენებაც მიიღო გამგეობამ, მაგრამ, რადგანაც ეს მოხსენება დღევანდელ გასარჩევ საქმეების სიაში არ არის მოქცეული, ამიტომ დღეს ვერც მსჯელობას ვიქონიებთო; ეს მოხსენება 7 აგვისტოს სიაში იქნება შეტანილი და მაშინ განვიხილოთო.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ გაგაცნოთ მკითხველს ბ-ნ ფონ-შულცის მოხსენება.

ა) კედლები კეთდება ნატეხი ქვისაგან, რომლის შემაერთებელ სიმაგრედ ნახმარია 1 ნაწილი ცემენტი, 5 ნაწილი სილა და ერთი ნაწილიც კირი. თუმცა კირის 1 ნაწილის შერევა ცოტათი აუმჯობესებს გახსნილ ცემენტის ღირსებას, მაგრამ ცემენტის იმდენივე ნაწილის მაგიერობას ვერ გასწევს. პირობის ძალით კი ამხანაგობა ვალდებულია იხმაროს კედლების ასაშენებლად სქელი ცემენტი, ასე რომ—ერთნაწილ ცემენტზე უნდა მოდიოდეს მხოლოდ ორი ნაწილი სილა, ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს ორ-ნახევარ ნაწილისა. ცემენტის ეხლანდელი სიმაგრე ორჯელ ნაკლებია იმ სიმაგრეზე, რომელიც უნდა ეხმარა ამხანაგობას, ბ) კედლების სისქე 2 საჟენ სიმაღლეზე აღებულია. ძირს 0,50 საჟ. და ზევით 0,35 საჟ.; პირობის ძალით კი კედლების სისქე უნდა უდრიდეს სიმაღლის 0,37 ნაწილს (ე. ი. 0,74 საჟ.); ამგვარად კედლების სისქე ერთნახევარჯელ შემცირებულია.

გ) კედლები ზოგან კლდეზედაა ამოყვანილი და ზოგან კიდევ პირდაპირ თიხნარზე, რასაც შეიძლება ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვეს.

დასასრულ, მოხსენების ავტორი ურჩევს ქალაქის გამგეობას მეტი ყურადღება მიაქციოს მუშაობას: „წყლისაყვანის ყოველი შენობა ქალაქის საკუთრებას შეადგენს, მხოლოდ დროებით ეკუთვნის ამხანაგობას, რომელიც ისარგებლებს, სანამ კარგია, შემდეგ კი ყველაფერს გაცვეთილსა და წამხდარს გადასცემს ქალაქს. თუ კი საბჭო ქალაქის ერთსართულიან შენობაზე მეორე სართულის დასადგმელად მთელ კომისიას ჰნიშნავს მეთვალყურედ, მით უმეტეს ამ შემთხვევაში უნდ დაინიშნოს მეთვალყურე კომისიაო". ამასთანავე სთხოვს გამგეობას, რაც შეიძლება მალე განხილულ იქმნას ეს საქმე, რადგან ქვის სამუშაოს ერთი მეხუთედი ნაწილი უკვე გათავებულია და მალე სრულიადაც დამთავრდებაო.

დონ-ვალიანი

წერილი ქიზიყიდან

სოფლის მოხელენი.—ქურდ-ბაცაცობა.

წელს დრო იყო მამასახლისებისა და სოფლის სხვა მოხელეთა გამოცვლისა და გამოსცვალეს კიდეც მთლად სიღნაღის მაზრაში. ყველგან ახალი კაცები ამოარჩიეს და არც ერთი ძველი მოხელე არ დაუტოვებიათ ზოგიერთ სოფლის გარდა, სადაც ისევ ძველად ნამყოფებს დაუბრუნდნენ და ისევ ისინი დაასკუპეს მოხელეებად, ვის გამოცვლასაც რამდენისამე წლის წინად მხნედ სცდილობდნენ. სოფ. ბოდბის-ხევში მცირედ ნასწავლი კაციც აარჩიეს სხვა წოდებისა, რაიცა იშვიათ მოვლენას შეადგენს მთელს მაზრაში. ბევრ სხვა სოფელშიაც უნდოდათ სხვა წოდებიდან აერჩიათ მოხელე, მაგრამ სამაზრო ადმინისტრაციამ ნება არ დართო იმ მოსაზრებით, რომ კანონი ნებას არ აძლევს საზოგადოებას მოხელენი აირჩიოს არა თავის წრიდანაო. ჩვენის აზრით-კი კანონი სულაც არ არის წინააღმდეგი და სხვათა შორის, სოფ. ბოდბის-ხევის საზოგადოების მაგალითიც ამტკიცებს ამას.

საგლეხო დებულებაში არის მოხსენებული, რომ საზოგადოება ირჩევს მოხელეს უმთავრესად (და არა უეჭველად) თავის წრიდან; იქვე ჩართული სხოლიოც განმარტავს, რომ, თუ საზოგადოება ისურვებს არა თავისს წრიდან მოხელეთა არჩევას, მაშინ სამაზრო ადმინისტრაცია შუამდგომლობას აღძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე არჩეულთა დასამტკიცებლადაო. ამ რიგად, როგორც მკითხველიც ჰხედავს, კანონმდებლობა სრულებითაც არ უკრძალავს საზოგადოებას მოხელის არჩევას არა თავისს წრიდან. მით უფრო საგულისხმიეროა ეს გარემოება, რომ ამ კანონის გამოცემის შემდეგ ცხოვრებამ წინ წაიწია, ამიტომ გამოცდილება და დროთა ვითარება საჭიროდ ჰხდის ხანდახან მაინც ამ დებულების მხარის აქცევას. თვით გლეხობამ იგრძნო ეს და თხოულობს არა თავისს წრიდან მოხელის არჩევას.

დღევანდელი პირობანი სოფლის მოხელისაგან თხოულობენ მრავალგვარ სამსახურს, ცოდნას, მხნეობას, პატიოსნურ და სინიდისიერ მოქმედებას.

ამასთან მამასახლისისი მოვალეა სხვა-და-სხვა მოხელისა, დაწესებულებისა, ბოქაულისა და მაზრის ადმინისტრაციის ათასნაირი დავალება შეასრულოს. ამიტომ, როგორც ზევითაცა ვსთქვით, თუ კარგად შეგნებული და მხნე კაცი არ არის სოფლის მოხელე, გარეშე კაცთა დავალებათა ასრულებას გვერდს ვერ ააქცევს და სოფელი უპატრონოდ დარჩება. უმეტეს ნაწილად სოფლის მოხელეებმა არ იციან თავიანთი პირდაპირი მოვალეობა, ხშირადა ჰგონიათ, რომ მხოლოდ და მარტო უფროსისა და ქალაქის მოთხოვნილებანი უნდა აასრულონ, ან გატყიპოს ვინმე და გომში უკრას თავი. ხშირად სჩივიან ხოლმე მოხელენი გლეხზე, წინააღმდეგობას გვიწევს და ჩვენ კანონიერ განკარგულებას ყურადღებას არ აქცევსო. გამოძიება კი სულ სხვას აღმოაჩენს ხოლმე. ასეთ საჩივარს უფრო ხშირად გარედ და მოხელედ ნამყოფებზე შეთხზავენ ხოლმე, რადგანაც იმათ კარგად იციან მოხელის უფლებანი და არ ემორჩილებიან ყოველსავე იმის განკარგულებას. მოხელეებს სძაგთ მცოდნე კაცნი და სცდილობენ, რითაც იქნება ცილი დასწამონ. და ამისთანა მიზეზით ერთს უდანაშაულო კაცს ამოაყოფინეს თავი საპყრობილეში და იქნება ცივ ქვეყნებისკენაც გაესეირნა, რომ სამაზრო ადმინისტრაციის მოხელე არ წაჰქომაგებოდა. როდესაც გამოუშვეს საპყრობილედან, მაშინ გაიგო მხოლოდ მიზეზი დაპატიმრებისა; ბევრს ეცადა შემრცხვენელის დასჯას, მაგრამ ვერას გახდა. ადგა და სოფლიდან სულ მთლად გადასახლდა ტფილისს.

სოფლის მოხელის თანამდებობაზე ირჩევენ მომეტებულ ნაწილად გაიძვერა და ფლიდ კაცებს. რადგან სოფლის მოხელეთ კანონიერი სასყიდელი არა აქვთ დანიშნული, ამიტომ ყველა პატიოსანი და რიგიანი კაცი გაურბის ამ თანამდებობას. არავის არ უნდა მოსცდეს თავისს ხელობას და ოჯახს. სამი წელიწადი უსასყიდლოდ სამსახური ადვილი არ არის, მერე ახლანდელს დროში, როდესაც მომეტებულად სამაზრო გამგეობასა, ან ბოქაულსა და სხვა დაწესებულებასთან უხდება ყოფნა.

თითქმის ყველა მამასახლისი წელიწადში 400—500 მანეთამდე იღებს კანონიერად თავისს სასარგებლოდ. ამ ფულით კი კარგის და რიგიანის კაცის ამორჩევა შეიძლება, სოფელს თავი და უნარი ჰქონდეს. დღეს სოფელს თხუთმეტიოდ მყვირალა და გაიძვერა კაცი ატრიალებს. ესენი ირჩევენ მოხელეებს, ჩაიგდებენ შემდეგ ხელში, თავიანთ ყურმოჭრილ მონად გადააქცევენ და, როგორცა ჰსურთ, ისე ატრიალებენ მთელი საზოგადოების სვე-ბედს. ესენივე იჭერენ ნახევრად რუსულის მცოდნე მწერალს და აბარებენ იმას უმეცარ მოხელეებს. მოხელეობის მოტრფიალე მოხელის თანამდებობის მისაღებად ხარჯავს ხალხში ფულს, მთელის თვეობით ასდევს სოფლის ავან-ჩავანთ და წვრილ მოხელეთ, მედუქნეებს და ცოტად თუ ბევრად გავლენიან კაცებს. ახლად დაყენებული მოხელენი სცდილობენ გული მოიგონ ყველა იმათი, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ მათ თანამდებობასთან და ახლა ამათ უმართავენ სადილებს. მერე-კი როდესაც, ცოტად ზურგს მოიმაგრებს, იწყობს სოფლის რბევას და დანახარჯ-დანაკლისის ერთი-ათად შევსებას. ხშირად მოხელეობას იმისთვისაცა სცდილობენ, რომ ყოფაქცევა გაიკეთონ, ძველი ცოდვანი და ცუდი სახელი დავიწყებას მისცენ: აბა ვილას შეუძლიან მოხელედ ნამყოფ კაცს ცუდი ზნეობა უკიჟინოს. როდესაც ქურდი ან ცუდის ყოფა-ქცევის კაცი მამასახლისობას ჩაიგდებს, ყველას იმას ეუბნება, თუ კარგი კაცი არა ვყოფილიყავ, არც მამასახლისად ამომირჩევდა მთავრობა და ჯამაათიო.

კალოების ლეწვა გახშირდა აქეთკენ. ხალხი სულ კალოებზეა გასული და სახლები ბებრებისა და გასათხოვარ ქალების ანაბარაა. ამითი სარგებლობენ ქურდ-ბაცაცები და იტაცებენ, რის მოტაცებაც შეიძლება. მინდორიც დაცალიერებულია ხალხისაგან, ამიტომ მინდვრადაც დანავარდობენ რაინდები და მიერეკებიან საქონელს. ამას წინად რამდენსამე მეურმეს დახვდა თურმე ხუთი შეიარაღებული თათარი. თათრებმა გამოუშვეს საქონელი ურმებიდან და გაირეკეს განჯის გუბერნიისაკენ—იქვე ახლოს კი საყარაულოა დარაჯებისა. მეურმეებს მიერბინათ სადარაჯოში და ყოველივე უამბნათ. გამოსდგომიან ქურდებს კვალ-და-კვალ და მეორეს დღეს დასწევიან კიდეც ალაზნის პირზედ. სამმა თათარმა მოასწრო თურმე წყალში გასვლა, ორი კი წყალს აქეთკენ დარჩა. გაიმართა თოფის სროლა. ორი თათარი მოჰკლეს და საქონელიც უკან დაიბრუნეს. თათრების დარჩომილ ბარგში უნახავთ ერთი ნიშანი სოფლის მოსამართლისა და ერთიც ბერდანის თოფის მოწმობა, რომელიც განჯის გუბერნატორს მიუცია, როგორც პატიოსან და საიმედო კაცისთვის. ასე ატყუებენ ქურდ-ბაცაცები ადმინისტრაციას. თუ მოსამართლენი და სანდო პირები სცარცვავენ ხალხს, რაღა ითქმის დანარჩენებზედ.

მინდვრად თათრები ავიწროვებენ ქიზიყელებს, სოფლად კიდევ თავისივე მოძმენი ჰხუთავენ სულს და სტაცებენ ქონებას. აქ ახლა თვალ-და-თვალ გლეჯასა და ტაცობას აღარ ჰთაკილობენ. ამ ცოტა ხანში ორჯელ მიუცვივდნენ ერთ მღვდელს და, რაც მოასწრეს, წაიღეს. სოფელ ანაგაში კიდევ შებინდებისას დაჰხვდნენ სოფლის მასწავლებელს, წაართვეს რაც რამ ებადა და ცარიელი უბე-ჯიბით გაისტუმრეს სახლში. მასწავლებელს სულ რაღაც 20 მანეთი ჰქონოდა და ისიც ფქვილის სასყიდლად უნდოდა თურმე. ყოველივე ეს შიშის ზარს სცემს ხალხს და გულს უტეხავს. ბევრი მზად არის დაუმეგობრდეს ქურდ—მცარცველს და, რითაც შეუძლიან, პატივი სცეს, რომ პურ-მარილით მაინც მოასყიდოს იმისი გული და დაიცვას ქონება. ხშირად იცნობს გლეხი ქურდს; იცის, ვინც მოჰპარა საქონელი, მაგრამ არ ამხელს, პირ-იქით სცდილობს იმის სიამოვნებასა და პატივისცემას. რა ჰქნას, თუ ასე არ მოექცა და გააჯავრა: ქონებიდან ცარიელს დასვამს. თავის ქონების მტაცებელს არ ამხელს, სხვათა ქურდსა და მტაცებელზედ ხომ კრინტსაც არ დასძრავს. ეს გარემოება ერთი ორად ათამამებს ქურდ-ბაცაცებს.

გულამე

წერილი ნაგომრიდან*)

ვაჭრობა ბაზრობაზე.—მოსწავლენი ბაზარში.—დარაჯები.

მარინობის ბაზრობა რის ვაი-ვაგლახით დასრულდა 29 ამ თვეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ვაჭრობამ მხოლოდ უკანასკნელ რიცხვებში იმატა. წარსულ წლებთან შედარებით, ვაჭრებმა წელს ძლიერ ცოტა საქონელი გაასაღეს, რაც უეჭველი შედეგი უნდა იყოს მოუსავლობის გამო ხალხის გაჭირვებისა. „ფული სიკვდილის გადმა არისო", გამიგონია და ასეც ყოფილა.

რკინის სხეული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ შუაგულ ზაფხულის პაპანაქებაში მთელი ნახევარი თვე გასძლოს კარავში ისეთ ქვაბსავით ჩავარდნილს, ცხელსა და შაობიანს ადგილში, როგორიც ნაგომარია. პირველი დღეები გრილი და წვიმიანი იყო, მაგრამ 20-დან ისეთი დარები დაიჭირა, რომ სიცხისაგან ქვა ადუღდებოდა. რაკი დარი დაინახა ხალხმა, ურიცხვად იწყო დენა ყოველის კუთხიდან. მეტადრე კვირა-პარასკეობით ტევა აღარ იყო. (პარასკევი ებრაელთა ვაჭრობის დღეა და ამიტომ დღეს ჩვეულებრივზე მეტი ხალხი ეტანება ბაზრობას, რახან მეტ ნაწილად ებრაელებთან ვაჭრობენ). დილის ყრიამულს შუადღის პაპანაქება მოსწყვეტდა. გაისმოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხოლოდ პაწია ბავშვების დრო-გამოშვებითი, მისუსტებული ძახილი: „აბა, რა ცივი საცივი!.. აბა, რა ცივი... ცივი საცივი. ეფასათ!.. ეფააათ!" ასეთ უმაწვილებს სამოცამდის დავთვალე. მხარზე დოქებით და ხელში ჭიქებით, გაწუწულნი, დილის 8 საათიდან მოკიდებული, შუადღის ოთხ საათამდის სულ ამას გაიძახოდნენ. უმეტესი ნაწილი ამ ბავშვებისა პირველის და მეორე განყოფილების მოსწავლენი იყვნენ. ერთ მათგანს შევეკითხე: რას იღებ დღეში წყლის ტრებაში მეთქი? ბავში მომიხვდა და მიპასუხა: „ორ აბაზს მაინც ავიღებო". ესეც ბავშვური თინი!.. მე წინადვე გაგებული მქონდა, რომ ორთა შუა რიცხვით სამ შაურზე მეტს ვერ აიღებენ დღეში.

„სადაც სიღარიბეა, იქ უმეცრება თურმე არაფერ შუაშია". მართლაც და რა დასაჯერებელია, ბავშვების დედ-მამას არ ესმოდეთ, რომ დღევანდელ ერთის მანეთის სარგებლობა მათ შვილებს ერთის წლის სწავლას დააკარგვინებს.

სამიკიტნო-სასტუმროების გამრავლებამ წელს გადიდა დარაჯთა რიცხვიც, რომელთა მომატებული ჯამაგირის გადახდა ისევე ვაჭრებს შეაწერეს, თვითო კარავზე სამ-სამი აბაზი ჩვეულებრივზე მეტი. მხოლოდ უფროსის განკარგულებას უმცროსნი ნაკლებად ასრულებდნენ. საყარაულო ადგილები ღამე უმეტეს ნაწილად ცარიელი იყო. ღმერთმა შეიბრალა ვაჭრები, რომ ავაზაკებს „მათი უპატიოსნობა" არ გაუგიათ, თორემ თქვენი მტერია: ვინმე რომ გაჩენილიყო, საწყალ ვაჭრებს თავისი საქონელიც უნდა დაეცვათ, თავისი თავიც და დარაჯებიც ეხსნათ სიკვდილისაგან. ბაზარში, სხვათა შორის, მოიტაცეს ერთის ვაჭრის 25 მანეთიანი ნაბადი. ორი ავაზაკობა ბაზარს გარედაც მოხდა: დღისით გამძარცვეს ერთი და თითქმის სასიკვდილოთ დასჭრეს მეორე; პირველი მოხდა დილის ათ საათზე, მეორე ნაშუადღევის სამ საათზე. ავაზაკები შორეულნი არ უნდა ყოფილიყვნენ. პოლიციამ ვერც ერთი ვერ იგდო ხელში.

მირიანი

უცხოეთის წვრილი ამბები

ხალხის მომწამვლელი ქალი. ამერიკულ გაზეთების სიტყვით, შეერთებული შტატების ერთს სასამართლოში გაირჩა არა ჩვეულებრივი საქმე. ამ საქმის გმირია ვინმე ქალი ჯენ ტროპპანი, რომელიც წინად კემბრიჯის საავადმყოფოში ყოფილა ავადმყოფების მომვლელად. აქ დაუწყია იმას თავისი „ხელობა". ის სწამლავდა ავადმყოფებს, რომლებიც იმასა ჰყვანდა ჩაბარებული, და ბოლოს დროს გამოტყდა, რა აიძულებდა იმას, ასეთი მხე-

---

*) „ცნობის ფურცლის" 25 ივლისის ნომერში შეცდომით დაბეჭდილი იყო „წერილი ნიგოითიდან", უნდა იყოს „წერილი ნაგომრიდან".

ცური საქმე ჩაიდინა. იმას დიდს სიამოვნებას ჰგვრიდა, როდესაც მკვდრებს თვალებს უხუჭავდა. „მე არ ვიცი,—ბოლოს ამბობდა ის, ჩემი მსხვერპლების სახელი, რომელთა პიროვნებაც ჩემთვის არაფერს არ შეადგენდა; არც იმისი თქმა შემიძლიან, რამდენი კაცი გამისტუმრებია საიქიოს“. თავის მიზნის მისაღწევად ისა ხმარობდა მორფინს და ატროპინს, ორივე ძლიერი საწამლავია; ეს საწამლავები იმისთვის ხელსაყრელი იყო იმით, რომ გარდაცვალებულებს გარეგნად არ ეტყობოდათ, რომ ისინი მოწამლულები იყვნენ. მაინც საავადმყოფოს ექიმმა იჭვი აიღო ამ ქალზე, მაგრამ დასამტკიცებელი საბუთი არა ჰქონდა. მით უმეტეს საავადმყოფოდან დაითხოვეს და იძულებული შეიქნა სხვაგან ეშოვა ადგილი. აქ სხვანაირად დაიწყო მოქმედება: თავის ველურ მოქმედებასთან ერთად ქალმა გათხოვების და გამდიდრების სურვილიც გამოიჩინა. ამის შემდეგ ყველაზე უსაზიზღრესი საქმე ის ჩაიდინა ამ მგელ-დედაკაცმა, რომ მთელი ოჯახი მოსწამლა. ჯენ ტროპპანმა ცოტაოდენი ფული ისესხა ქ-ნ დევისგან და, ვალი რომ არ გადაეხადა მოსწამლა საბრალო ქალი. შემდეგ, რომ არაფერი საქმე არა ჰქონიყო მემკვიდრეებთან, ჯენმა დააპირა, გარდაცვალებულის სახლის დაწვა, მაგრამ ვერ მოუვიდა; მაშინ იმან მოსწამლა თავის მსხვერპლის ქალი და იმისი ქმარი, რომლის შერთვასაც ამას წინად ის ამაოდ სცდილობდა. ამ საქმეზე გამოძიება დანიშნეს, მაგრამ ამ აფთარმა დედაკაცმა სასჯელს თავი დააღწია, რადგანაც გარვარდის უნივერსიტეტის ცნობილმა პროფესორმა ვუდმა ბუნებრივად სცნო იმ კაცის სიკვდილი. ამით გამხნევებულმა ტროპპანმა მეორე სახლობაც მოსწამლა, მხოლოდ აქ კი კოკა წყალზე გატყდა: ის ალქაჯი დაატუსაღეს; რამდენიმე ხანი საპყრობილეში ბრძანდებოდა და შემდეგ სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მაშინ გამოტყდა ყველა დანაშაულობაში, რომ იმას მოუწამლავს ოცდა თერთმეტი ადამიანი და ისიც დაუმატა, რომ იმისი გამაგიჟებელი წადილი და სიამოვნება იყო მკვდრების თვალების დახუჭვა და შეძენის სურვილი. როდესაც იმას ჰკითხეს, რა მიზეზით გაუარა იმას თავში ამ ველურმა აზრმა, იმან გულ-ახდით უპასუხა, რომ იმისი მოქმედება უნუგეშო სიყვარულის შედეგი იყო. შემდეგ იმაზე ძალიან უმოქმედია ლუკრეცია ბორჯიას ისტორიას და იმისაგან ჩადენილს დანაშაულობათა. ექიმებმა საღი ჭკუის პატრონად ვერ იცნეს ეს წყეული დედაკაცი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო

პეტერბურგი. სამს აგვისტოს, ადლუმების შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა ცარსკოი სლავიანკას სასახლეში, რომლის წინაც ჩამწკრივებულნი იყვნენ, მისი უდიდებულესობის მოლოდინში, მარიინსკის და პატრიოტული ინსტიტუტების შეგირდი-ქალები. ხელმწიფე იმპერატორმა დიდის მთავარ ვლადიმერ ალექსანდრეს ძესთან ერთად ჩამოუარა ქალებს და შემდეგ ინახულა ოლგინსკის თავშესაფრის ბავშვები.

ხარბინი. აქ მოვიდა პეკინში მიმავალი იქაური მისიის უფროსი ეპისკოპოსი ინოკენტი.

ყაზანი. გადამწვართა დამხმარებელ კომიტეტმა გასცა 8,958 მანეთი დასახმარებლად; წინად გაცემულთან შემწეობა შეადგენს სულ 21,467 მანეთი.

სარატოვი. შავი-ჭირის საწინააღმდეგო კომისიისაგან გამოგზავნილი პროფესორი ვისოკოვიჩი კიევს წავიდა.

ბათუმი. ოთხ აგვისტოს გემით „როსტისლავ“ ბათუმში მოვიდა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. საღამოთი ბორჯომიდან მოვიდა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე.

ქემპერი. დუარნენეზში სკოლების დახურვას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გლეხებმა. კომისარი დაემუქრა იმათ, რომ დინამიტით ავაფეთქებ თქვენს სიმაგრეებსო. ჯარებმა ერთ ადგილას კედელი შეანგრიეს და მაშინ ბერები იძულებულ შეიქნენ, სკოლისთვის თავი დაენებებინათ. მცხოვრებთ ისინი მუსიკით და ბაირახებით გააცილეს.

ლონდონი. სპარსეთის შაჰი მოვიდა.

ბურების გენერლები დიდხანს არ დარჩენილან მეფესთან; მეფემ ყველას ხელი ჩამოართვა. ბოტას მდივნის სიტყვით, გენერლები ძალიან კმაყოფილნი არიან; ლაპარაკი თავისუფალი ჰქონდათ და პოლიტიკას არ შეხებიან.

პეკინი. სეჩუანის ვიცე-კოროლი იუწყება, რომ იმპერატორის ჯარებმა იერიში მიიტანეს მეამბოხეებზე; მოკლულია ათასი კაცი. წინამძღოლი ტონგინტუნი დასაჯეს.

5 აგვისტო

პეტერბურგი. ავსტრიის იმპერატორის დაბადების დღის დღესასწაულის გამო, პეტერჰოფის დიდს სასახლეში მათ უდიდებულესობათ საუზმე ჰქონდათ გამართული, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ავსტრო-უნგრეთის საელჩოს წევრები.

როსტოვი. კერჩში დაარსებული სავაჭრო ზღვაოსნობის მმართველობის კომისია ოთხ აგვისტოს აქ მოვიდა, რომ დაათვალიეროს ადგილობრივი ნავთ-სადგური. სანავთ-სადგურო ქალაქების წარმომადგენლების აზრი, რომ ცენტრალური ღრმა ნავთ-სადგურის გაკეთება კერჩში არ არის სასურველი და საზარალოა, აზოვის რაიონის მთელ ვაჭრობას ავნებს. საჭიროა ამოწმენდა და ამოღრმავება ყველა ნავ-სადგურებისა.

როსტოვი. პირუტყვთა მოშენების საზოგადოების გამოფენა სექტემბერში გაიხსნება.

ქალაქის მიდამოებში კომბოსტოს აუარებელი მატლი გაუჩნდა; მცენარეულობა სულ გაანადგურეს ჭიებმა; ქალაქში სახლები, ბაღები და ქუჩები მატლებით სავსეა.

ლონდონი. სადამოჟნო ტარიფის გადათვალიერების ოქმს ოთხ აგვისტოს ხელი მოაწერეს ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლებმა და ავსტრიის, ბელგიისა და ჰოლანდიის კომისარებმა; ჩინეთის კომისარები არ იყვნენ მიწვეულნი ხელის მოსაწერად, რადგანაც იმათ არ შეუძლიათ ხელი მოაწერონ, ვიდრე იმპერატორის თანხმობა არ მოუვათ.

6 აგვისტო

ხარკოვი. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ლოპუხინი პეტერბურგს წავიდა.

ბრესტი. სკოლების დეკრეტების შესრულების დროს ფოლჟუეტში, სენჟენში და პლუდანიელში დაიჭრა თორმეტი კაცი, ათი ქალი, ორი ჟანდარმი, ორი ჯარის კაცი და ერთი პოლიციის კომისარი; რვა კაცი დააპატიმრეს. ერთი მემამულე, ერთი ჟურნალისტი და ერთი აბატი სასამართლოში მისცეს არეულობის წაქეზებისათვის.

პარიზი. ბრესტიდან მოსულის ცნობებით, მაიორმა ლერუა ლადიურიმ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჯარის კაცების დახმარებით გაერეკა დანი—აღმზრდელნი დუარნენეზიდან, უარი განაცხადა ამ ბრძანების შესრულებაზე. მაიორს საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

ლესნევანი. ბეჭედი, რომელიც პოლიციის კომისარმა სენ-მეანში სკოლას დაადო, ხელმეორედ აგლიჯეს.

მოსკოვი. დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ ხუთ აგვისტოს დილით ადრე მოულოდნელად ჯარებს გამოუძახა ხოდინის მინდორზე და ადლუმი მოახდინა.

პეტერბურგი. რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების თხოვნით, გიუწყებით, რომ საგანგებო მინდობილებათა მოხელის კარცევის გარდა, საზოგადოების ჟურნალის „სადოვოდ“-ის რედაქტორებად დამტკიცებულნი არიან ბახჩისარაიელების საზოგადოების თავმჯდომარე და მდივანი ინოზემცევი.

პეტერბურგი. ექვსს აგვისტოს პრეობრაჟენსკის პოლკმა იდღესასწაულა თავისი დღესასწაული, აგრეთვე არტილერიის საგვარდიო ნაწილმაც, რომელსაც დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და სხვა უმაღლესნი პირნი. ხელმწიფე იმპერატორი თერთმეტ საათზე მობრძანდა ცარსკოსელსკის დიდი სასახლის მოედანზე და ჯარებს ჩამოუარა. პარაკლისი გარდაიხადეს. ხელმწიფემ მეორედ ჩამოუარა ჯარებს პროტოპრესვიტერ ჟელობოვსკისთან ერთად, რის შემდეგაც დაიწყო საცერემონიო მარში. შემდეგ ჯარები გუსარის პოლკის მანეჟში წავიდნენ, სადაც დამზადებული იყო სტოლები საჭმელებით. პირველ საათზე მანეჟში მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი უმაღლეს პირებთან ერთად. ხელმწიფემ მიირთვა სადღეგრძელო პრეობრაჟენსკის პოლკისა და სხვა ყველა ჯარებისა, რომელნიც დღესასწაულობენ თავის დღესასწაულს.

ცარსკოსელსკის დიდს სასახლეში გაიმართა საუზმე, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ უმაღლესი უფროსნი, რომელთაც პარადში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე დამსწრე ოფიცრებიც. საუზმეზე ხელმწიფე იმპერატორმა აიღო ბოკალი და მიირთვა ყველა ჯარების სადღეგრძელო, რომელნიც დღესასწაულობენ თავიანთ დღესასწაულს.

7 აგვისტო

ჰააგა. ბოტა, დელარეი და დევეტი მოვიდნენ. ბოტამ სთქვა, რომ მალე ყველაფერს გამოამჟღავნებენ, რაც გულში აქვთ.

პარიზი. 5 (18) აგვისტოს მოხდა უმთავრესს პროვინციალურ საბჭოთა კრებები. საბჭოთაგან 5-მა უკმაყოფილება გამოაცხადა კონგრეგაციების სკოლათა დახურვის გამო, 20-მა მთავრობის მოქმედება მოიწონა. სენატორის პინოს სიტყვით, ლუბეს ჰსურს ყველა საბჭოების აზრი იცოდეს ამის შესახებ.

პლუდანიელში გლეხები წინააღუდგნენ კომისარს და ნება არ მისცეს მას სკოლა დაეხურა.

იოკაჰამა. ვულკანმა იფეთქა და გაანადგურა კუნძული ტორისტრინა: ყველა მცხოვრებნი, რიცხვით 150 კაცი, დაიღუპნენ,

ნოვაია ბუხარა. აქ მოვიდა ხივიდან ტაშკენტს მიმავალი თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი ივანოვი, რომელსაც აღტაცებით მიეგებნენ. კერიმეს წავიდა, რათა ემირი ინახულოს.

ოდესა. გენერალ ბოგდანოვიჩმა დაათვალიერა ცეცხლის მქრობელი რაზმები და ჯარის-კაცთ თავისი თხზულებანი და ხატები დაურიგა. გამოთხოვების დროს ბოგდანოვიჩმა სთქვა, შინაგან საქმეთა მინისტრს მოვახსენებ, რომ ოდესის რაზმები სამაგალითოდ უნდა ჩაითვალონ რუსეთშიაო.

ჩიტა. 3 აგვისტოს ადმინისტრაციის, ქალაქისა და საზოგადოების წარმომადგენელნი მიეგებნენ პრინც კომაცუს რკინის გზის სადგურზე.

ვერჟბოლოვო. სტატს-სეკრეტარი გრაფი სოლსკი საზღვარ-გარედ წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. დ 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამე-10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.);. 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

რუსულ სახლობაში, სადაც იციან ქართული ენა, ჰსურთ მიიღონ ქალაქ გარეშე მცხოვრებლების ყმაწვილები სახლში შესანახად და მოსამზადებლად მაისისთვის სასწავლებლებში შესაყვანად.

მეექვსე ნაწილი ქალაქისა, ვარანცოვის ქუჩა. ადელხანოვის ფაბრიკა ელიაროვის პერეულკა.

(2—372—1) ვასილი ცარაევი

ლექსები
განდეგილისა
ავტორის სურათით,
ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—11)

ახალი წიგნი
შ. არაგვისპირელი
წიგნი მეორე
ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ზიზ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
ვერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? აქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზე და ტანჯვა ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზე.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили. (5—4)

მოწოდება

ტფილისში ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის მონდობილობით უმორჩილესადა ვსთხოვ ქართველ საზოგადოებას, სახალხო თეატრს დახმარება აღმოუჩინონ ფულით, სცენაზე მოღვაწეობით და ტანისამოსის შემოწირვით. რა დიდი მნიშვნელობაცა აქვს სახალხო თეატრს ერის თვით-ცნობიერებისათვის, ეს ყველას კარგად მოეხსენება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; საჭიროა მხოლოდ ხელი შეუწყოთ ამ დიადი საქმის კეთილად მოწყობას და რადგან ქართული სახალხო თეატრი ქონებრივად ძლიერ ხელმოკლეა, ნაკლებადა ჰყავს სცენაზე მოთამაშე ქალები და გარდერობიც თითქმის ცარიელი აქვს, ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოება და მშრომელ ხალხის თანამგრძნობნი თავისს წვლილს არ დაიშურებენ და ამ ჩვენ მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ. ვინც კეთილ ინებებს და სცენაზე მონაწილეობას მიიღებს, ან მოისურვებს წვლილის გამოღებას (ფულით იქმნება: თუ ტანისამოსით), ვსთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ავჭალის ქუჩა, № 72, ბინა მ. ი. დემურიასი.

სახალხო წარმოდგენები დაიწყება პირველ სექტემბრიდან და, ვისაც სახალხო სცენაზე მონაწილეობა ჰსურს, ვთხოვთ წერილობით შეგვატყობინოს და გამოცხადდეს სახალხო აუდიტორიაში (ავჭალის ქუჩა) აგვისტოს 20 ს., საღამოს 7 საათზე.

გვარი და სახელი სცენაზე მოღვაწეთა და ყოველივე შემოწირულება ეუწყება ქართველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით.

სექციის მდივანი ა. ცინცაძე

(უ. 3—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Августа, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).